თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2024 წლის 6 მარტი
მორიგი სხდომის
ოქმი № 4

ქ. თერჯოლა 6 მარტი 2024 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. ეკა ბერძენიშვილი, 3. ნინო ჩხიკვაძე, 4. თემური ქოჩიაშვილი, 5. ლაშა გურგენიძე, 6. იზა მაგრაქველიძე, 7. ბიძინა ბუცხრიკიძე, 8. კობა კაცაძე, 9. ნინო მახათაძე, 10. ომარი ჯიხვაშვილი, 11. ბადრი ბუცხრიკიძე, 12. ჯემალი ისაკაძე, 13. ელისო მურადაშვილი, 14. მანუჩარი ფანჩულიძე, 15. შალვა ჭანკვეტაძე, 16. გრიგოლ გიორგაძე, 17. გოჩა ვერულაშვილი, 18. დავით გოგბერაშვილი, 19. კახა ბუცხრიკიძე, 20. რამინი რობაქიძე, 21. თამარი ახვლედიანი, 22. ფრიდონ გვენეტაძე, 23. დავით ცხადაძე, 24. ნატალია ასათიანი, 25. კობა კირკიტაძე, 26. მერაბი ბასილაძე, 27. ტარიელ ფანჩულიძე, 28. რუსუდან კოვზირიძე, 29. როლანდი მესხი, 30. ივანე ჩუბინიძე.

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 30 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 30 წევრი
კვორუმი: 16 წევრი

სხდომას ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, მერის მოადგილეები, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები.

სხდომას ესწრებოდა: ა(ა)იპ ,,ჩხარის მომავალის“ თავმჯდომარე ალექსანდრე ბუცხრიკიძე.

მიმდინარეობდა სხდომის ვიდეო გადაღება ტელეკომპანია ,,არგოს“ მიერ.

სხდომა დაიწყო 12 ^{00} სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 13 ^{15}სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

საკრებულოს თავმჯდომარემ, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საზანოში მომხდარი ტრაგედიის შედეგად დაღუპულების ოჯახებს სამძიმარი გამოუცხადა. საკრებულოს წევრებმა და დამსწრე საზოგადოებამ, წუთიერი დუმილით, პატივი მიაგეს გარდაცვლილთა ხსოვნას.

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფლებში ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის № 28-28240594 წერილი, 28.02.2024 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

/თანამომხს.გ.თურქაძე/

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საზანოში, ადმინისტრაციული ერთეულის ყოფილ შენობაში (ს.კ.33.18.42.116) არსებული 18 მ² არასაცხოვრებელი ფართი სარგებლობის უფლებით, ქირავნობის ფორმით პირდაპირი განკარგვის წესით, 2 (ორი) წლის ვადით გადაეცეს მოქალაქე [redacted] (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის № 28-28240596 წერილი, 28.02.2024 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

3. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ქვედა სიმონეთში, ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში მდებარე 13.00 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი სარგებლობის უფლებით, ქირავნობის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით, 2 (ორი) წლის ვადით გადაეცეს მოქალაქე [redacted] (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის № 28-282405013 წერილი, 19.02.2024 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

4. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭოგნარში, ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში არსებული 19 მ² არასაცხოვრებელი ფართი სარგებლობის უფლებით, ქირავნობის ფორმით პირდაპირი განკარგვის წესით, 2 (ორი) წლის ვადით გადაეცეს მოქალაქე [redacted] (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის № 28-28240508 წერილი, 19.02.2024 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

5. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქუჩა №109-ში (ს.კ.33.09.45.949) მდებარე არასაცხოვრებელი ფართი - 32.99 კვ.მ. სარგებლობის უფლებით, ქირავნობის ფორმით პირდაპირი განკარგვის წესით, 2 (ორი) წლის ვადით გადაეცეს [redacted] (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის № 28-28240507 წერილი, 19.0./2024 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

6. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული (საკუთრებაში არსებული) უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი ს.კ.33.09.39.655 სსიპ - სახელმწიფო

ქონების ეროვნული სააგენტოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის № 28-2824061116 წერილი, 01.03.2024 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

7. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის № 28-282406188 წერილი, 01.03.2024 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

8. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N 28-282406188 წერილი, 01.03.2024 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

9. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 მარტის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე

10. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე

11. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ჩხარის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ სკვერში (მიწის უძრავი ქონების ს/კ № 33.15.32.467) სახვითი ხელოვნების ძეგლის - (დედის ლოცვა) დადგმის შესახებ(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის №28-282403346 წერილი, 02.02.2024 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

12. თერჯოლის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2024 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის № 28-282405261 წერილი, 21.02.2024 წ);

/მომხს.შ.ჭანკვეტაძე/

13. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული ოჯახების 2024 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ'' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის გ-№ 29.29240106 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის № 28-282405076 წერილი, 19.02.2024 წ).

მომხს.: შ. ჭანკვეტაძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 30 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.
მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფლებში ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტს საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის №8 განკარგულების საფუძველზე ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დაფინანსების მიზნით გამოეყო 690000 ლარი, მუნიციპალიტეტის სოფლებში მ/წლის 25 იანვრიდან 31 იანვრის ჩათვლით ჩატარდა სოფლის საერთო კრებები და კონსულტაციები საპროექტო წინადადებების შერჩევის მიზნით, რომელიც წარმოდგენილია დანართის სახით (63 პროექტი).

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -30 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.29240668 , 06.03.2024 წ.).

2.
მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტი - მიეცეს თანხმობა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საზანოში, ადმინისტრაციული ერთეულის ყოფილ შენობაში (ს.კ.33.18.42.116) არსებული 18 მ² არასაცხოვრებელი ფართი სარგებლობის უფლებით, ქირავნობის ფორმით პირდაპირი განკარგვის წესით, 2 (ორი) წლის ვადით გადასცეს მოქალაქე [redacted]. 2 (ორი) წლის ქირავნობის გადასახადი განისაზღვროს 1200 (ათა სორასი) ლარით, ხოლო ყოველთვიური ქირა 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -30 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.29240665, 06.03.2024წ.).

3.

მოისმინეს*:* მომხსენებლმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ბადრი ბუხრიკიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტი - მიეცეს თანხმობა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ქვედა სიმონეთში, ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში მდებარე 13.00 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი სარგებლობის უფლებით, ქირავნობის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით, 2 (ორი) წლის ვადით გადასცეს მოქალაქე [redacted]. 2 (ორი) წლის ქირავნობის გადასახადი განისაზღვროს 1200 (ათას ორასი) ლარით, ხოლო ყოველთვიური ქირა შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -30 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.29240663, 06.03.2024წ.).

4.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტი - მიეცეს თანხმობა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭოგნარში, ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში არსებული 19 მ² არასაცხოვრებელი ფართი სარგებლობის უფლებით, ქირავნობის ფორმით პირდაპირი განკარგვის წესით, 2 (ორი) წლის ვადით გადასცეს მოქალაქე [redacted]. 2 (ორი) წლის ქირავნობის გადასახადი განისაზღვროს 1200 (ათას ორასი) ლარით, ხოლო ყოველთვიური ქირა შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -30 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.29240667, 06.03.2024წ.).

5.

მოისმინეს:მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტი - მიეცეს თანხმობა თერჯოლის

მუნიციპალიტეტის მერს, რომ ქ. თერჯოლაში, რუსთაველის ქუჩა №109-ში (ს.კ.33.09.45.949) მდებარე არასაცხოვრებელი ფართი - 32.99 კვ.მ. სარგებლობის უფლებით, ქირავნობის ფორმით პირდაპირი განკარგვის წესით, 2 (ორი) წლის ვადით გადასცეს [redacted]. 2 (ორი) წლის ქირავნობის გადასახადი განისაზღვროს 2400 (ორი ათას ოთხასი) ლარით, ხოლო ყოველთვიური ქირა შეადგენს 100 (ასი) ლარს.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -30 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.29240669, 06.03.2024წ.).

6.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული (საკუთრებაში არსებული) უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი ს.კ.33.09.39.655 სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ განკარგულების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, ქ. თერჯოლა, ოთხი ძმის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს.კ.33.09.39.356) განთავსებულია გმირთა მემორიალი, რომლის რეაბილიტაციის შემდგომ საჭირო გახდა დამატებით მომიჯნავედ არსებული შპს [redacted]-ს საკუთრებაში არსებული 113 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს.კ.33.09.39.655), რომლის გაცვლაზეც შპს [redacted]-ს დირექტორი წერილობით აცხადებს თანხმობას. მერია თანახმაა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება: (ს.კ.33.09.39.655) გადაეცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში შემდგომში შპს [redacted]-ს საკუთრებაში არსებული 113 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს.კ.33.09.39.652) ურთიერთგაცვლის მიზნით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -30 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული (საკუთრებაში არსებული) უძრავი ქონების(მიწის) ს.კ. 33.09.39.655 სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.2924066001, 06.03.2024წ.).

7.

მოისმინეს:მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ- ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გაცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი - ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისათვის პასუხისმგებელი პირი/ დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი , რომელიც ამუშავებს დიდი რაოდენობით მონაცემთა სუბიექტების მონაცემებს, ვალდებულია 1 ივნისამდე დანიშნოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომლის ფუნქციები ემატება მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების პირველადი სტრუქტურული ერთეულის

საქმისწარმოებისა და ადამინური რესურსების მართვის განყოფილებას.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -30 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი (დადგენილება № 5, 06.03.2024წ.).

8.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ - ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებას ემატება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის შტატი (მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი). მეორე ცვლილება შეეხება შესყიდვების განყოფილებაში არსებული ვაკანტური პოზიციის კორექტირებას, მესამე რანგის მეორე კატეგორია გარდაიქმნება პირველ კატეგორიად.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -30 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (დადგენილება № 6, 06.03.2024წ.).

9.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ- ბიძინა ბუცხრიკიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 მარტის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ახალი კანონის შესაბამისად, საკრებულოს აპარატის დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, 10^2 მუხლი - ოფიცრის ფუნქციები.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -30 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 მარტის №23

დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი(დადგენილება № 7, 06.03.2024წ.).

10.

მოისმინეს: მომხსენებლემა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ- ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - საშტატო ნუსხას დაემატა მესამე რანგის პირველი კატეგორიის სპეციალისტი (პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი).

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -30 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება № 8, 06.03.2024წ.).

11.

მოისმინეს: მომხსენებლმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის ჩხარის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ სკვერში (მიწის უძრავი ქონების ს/კ № 33.15.32.467) სახვითი ხელოვნების ძეგლის - (დედის ლოცვა) დადგმის შესახებ განკარგულების პროექტი - მერიას 2024 წლის 29 იანვარს განცხადებით მომართა მოქალაქე [redacted] რომელსაც სურვილი აქვს თავისი ინიციატივით და საკუთარი ხარჯებით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ჩხარის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ სკვერში (ს/კ 33.15.32.467) განათავსოს სახვითი ხელოვნების ძეგლი (დედის ლოცვა- შესასრულებელი მასალა: - ბრინჯაო , ზომით - კვარცხლბეგი სიმაღლით 1,50მ, ძეგლის სიმაღლე - 2.50 მ.) ობიექტს დაამზადებს მოქანდაკე [redacted]. მოქმედი კანონმდებლობა მუნიციპალიტეტის შესაბამისი გადაწყვეტილების შემდეგ ითვალისწინებს საქართველოს ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის განთავსებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებას.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -30 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ჩხარის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ სკვერში (მიწის უძრავი ქონების ს/კ № 33.15.32.467) სახვითი ხელოვნების ძეგლის - (დედის ლოცვა) დადგმის შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.29240666, 06.03.2024წ.).

12.

მოისმინეს: მომხსენებლმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2024 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -30 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2024 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.29240662, 06.03.2024წ.).

13.

მოისმინეს: მომხსენებლმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ- შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული ოჯახების 2024 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ'' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის გ-№ 29.29240106 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - პროგრამით მოსარგებლეთა კატეგორიას ემატება გეოლოგიური დასკვნის მქონე ოჯახები, რომლებიც ექვემდებარებიან განსახლებას, ასევე ოჯახები, რომელთა საცხოვრებელი სახლებიც იმყოფება სტიქიურ ზონაში.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -30 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული ოჯახების 2024 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ'' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის გ-№ 29.29240106 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.29240664, 06.03.2024წ.).

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. საკრებულოს უმრავლესობის, ოპოზიციის წარმომადგენლებისა და მოქალაქის შეკითხვებს საკრებულოს თავმჯდომარემ- გიორგი ბარათაშვილმა და საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეებმა უპასუხეს.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ბარათაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 6 მარტის საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი